ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1628080

ნომერი: AR1269958

თარიღი : 02.12.2014

გაცემის თარიღი : 05.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგისა და ს.ქავთარაძის ქუჩების შესაყართან,, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიკა მეცხვარიშვილი პ/ნ 59001095876
- გორი ცხინვალის გზატ. N 7 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად მოგახსენებთ შემდეგს: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

– წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა საპროექტო დროშების დატანით.

– ვინაიდან სარეკლამო დროშები ეწყობა არა ობიექტზე არამედ მიწის ნაკვეთზე საჭიროა დაკორექტირდეს "..საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" ველში ატვირთული თანხმობა.

ასევე გაითვალისწინოეთ: იმ შემთხვევაში თუ სარეკლამო დროშების კონსტრუქცია ეწყობა შ.პ.ს. "გრატო სითი სენთერ"–ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის გარეთ თვითმმართველის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი: 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შ.პ.ს "აუთდორ ჯი"–ს (მისამართი: ყიფშიძის ქ. #2).

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.